



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 122

2014 წლის 02 თებერვალი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტუდენტებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტუდენტებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის შედეგად დაფინანსებულმა პროექტების წარმდგენებმა საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 2014 წლის 2 დეკემბრიდან 5 დეკემბრის 18:00 სთ ჩათვლით უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) პირადი ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ).

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 8 დეკემბრიდან 12 დეკემბრისავე ჩათვლით.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. ბოკუჩავას) წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი